დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №2

6 იანვარი 2015 წელი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

მიმდინარე წლის 6 იანვარს დიდთოვლობის შედეგად ჩაიხერგა საავტომობილო გზები დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის, ქვეშეთის, უკანაფშავის, ჭართლის, მაღაროსკარის და ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გზების გასაწმენდად საჭიროა სადიზელო საწვავის შეძენა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის, ქვეშეთის, უკანაფშავის, ჭართლის, მაღაროსკარის და ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გამგებლის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოების საკითხი და წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ადმინისტრაციულ ერთეულებში დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 1660 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 2905 ლარი. აქედან:

   ა) გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად სოფლებში მისასვლელი ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 400 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 700 ლარი.

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA

+995(346)221989
+995(346)221990

WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

ბ) ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად სოფლებში მისასვლელი ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 400 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 700 ლარი.

გ) უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად სოფლებში მისასვლელი ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 80 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 140 ლარი.

დ) ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად სოფლებში მისასვლელი ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 400 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 700 ლარი.

ე)მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად სოფლებში მისასვლელი ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 230 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 402,5 ლარი.

ვ) ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დიდთოვლობის შედეგად სოფლებში მისასვლელი ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 150 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად 262,5 ლარი.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის , სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (თამაზ ბულაური);
4. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს გუდამაყრის, ქვეშეთის, ჭართლის, ფასანაურის და უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეულებში, მალხაზ წიკლაურს, ზურაბ ბურდულს, ზურაბ ჩიტაურს, თინა წიკლაურს, როლანდ ზურაბაშვილს და შალვა წითელაურს.
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3,4 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ.ჩოხელი/